

განხორციელების ხელშეკრულება

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“-ს და შპს „ტყიბული 150“-ს შორის ტყიბულის მუნიციპალიტეტში ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე

ქ. თბილისი

2015 წლის 16 ოქტომბერი

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის სახით (შემდგომში „მთავრობა“),

მეორე მხრივ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის სახით (შემდგომში „ესკო“) და

მესამე მხრივ, შპს „ტყიბული 150“ (ს/კ 405094972), წარმოდგენილი დირექტორის გივი ჭაჭიას სახით (შემდგომში „კომპანია“),

ვდებთ წინამდებარე განხორციელების ხელშეკრულებას საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისა და ელექტრომომარაგების გაუმჯობესების მიზნით, ტყიბულის მუნიციპალიტეტში ნახშირზე მომუშავე ახალი თბოელექტროსადგურის აშენების უზრუნველყოფისათვის:

1. ტერმინთა განმარტებანი

1.1. მთავრობა - საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახით;

1.2. ესკო - სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“;

1.3. კომპანია - შპს „ტყიბული 150“ (ს/კ 405094972);

1.4. საექსპერტო/აუდიტორული კომპანია - „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის N360 დადგენილებით განსაზღვრული პირები;

1.5. ნახშირის თბოსადგური - ტყიბულის მუნიციპალიტეტში 150 მგვტ. (+/- 10%) სიმძლავრის, ნახშირზე მომუშავე ახალი თბოელექტროსადგური.

1.6. ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება - ესკო-სა და კომპანიას შორის გაფორმებული სიმძლავრის (ელექტროენერგიის) გარანტირებული

შესყიდვის პირდაპირი ხელშეკრულება, რომლის ძირითადი პირობებიც განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით;

1.7. „მიიღე ან გადაიხადე პრინციპი“ - ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად ნიშნავს პრინციპს, რომლის თანახმადაც ესკო უზრუნველყოფს კომპანიისაგან გარანტირებულად შეისყიდოს და/ან გადაუხადოს კომპანიას წლის განმავლობაში გამომუშავებული ელექტროენერჯის ღირებულება შეთანხმებული ტარიფით ნახშირის თბოსადგურის ექსპლოატაციაში მიღებიდან 20 (ოცი) კალენდარული წლის განმავლობაში;

1.8. შესასყიდი თვეები - კალენდარული წლის იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი.

1.9. პრივატიზების ხელშეკრულება - 2014 წლის 15 დეკემბრის სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა“ და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულ კორპორაციას“ შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება პირობებით და 2015 წლის 19 მარტის დეკემბრის სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა“ და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულ კორპორაციას“ შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება პირობებით.

2. ხელშეკრულების მიზანი

ხელშეკრულების მიზანია:

2.1. საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისა და ელექტრომომარაგების გაუმჯობესების მიზნით, ტყიბულის მუნიციპალიტეტში 150 მგვტ. სიმძლავრის, ნახშირზე მომუშავე ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. მხარეთა ვალდებულებები:

3.1. კომპანიის ვალდებულებები

კომპანია ვალდებულია:

3.1.1. 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით უზრუნველყოს ტყიბულის მუნიციპალიტეტში 150 მგვტ. სიმძლავრის ნახშირის თბოსადგურის აშენება;

3.1.2. უზრუნველყოს ნახშირის თბოსადგურის მშენებლობის ნებართვის მოპოვება. ნახშირის თბოსადგურის მშენებლობა დაიწყოს არაუგვიანეს 2016 წლის 30 სექტემბრისა;

3.1.3. ნახშირის თბოსადგურის აშენებიდან 3 (სამი) თვის ვადაში შესაბამის ორგანოს(ებს) წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ნახშირის თბოსადგურის ექსპლოატაციაში მიღების მიზნით;

3.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1 – 3.1.3 პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ხელშეკრულებას თან ერთვის ნახშირის თბოსადგურის მშენებლობისათვის შესასრულებელი ქმედებებისა და ღონისძიებების თაობაზე გეგმა-გრაფიკი

(დანართი N1). კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ზემოაღნიშნული გეგმა-გრაფიკის შესრულება თანდართული რედაქციით წარმოდგენილ ვადებში.

- 3.1.5. ნახშირის თბოსადგურის მიერ ელექტროენერჯის გამომუშავებისთვის 20 (ოცი) წლის განმავლობაში მუდმივად გამოიყენოს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ნახშირი;
- 3.1.6. ნახშირის თბოსადგურის ექსპლოატაციაში მიღებიდან 20 (ოცი) კალენდარული წლის მანძილზე სადგურის მიერ შესასყიდი თვეების განმავლობაში გამომუშავებული ელექტროენერჯია, სრულად მიყიდოს ესკოს გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე;
- 3.1.7. ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი კალენდარული თვის ვადაში წარუდგინოს მთავრობას, როგორც ბენეფიციარს 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის საბანკო გარანტია ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. საბანკო გარანტია მოქმედი უნდა იყოს 2021 წლის 1 აგვისტომდე და გაცემული უნდა იყოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ და მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 15%-ს.
- 3.1.8. ამ ხელშეკრულების 3.1.1, 3.1.2 და 3.1.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურების მიზნით, წარუდგინოს მთავრობას საექსპერტო/აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნა შესაბამისი ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული თვისა.
- 3.1.9. მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მთავრობას ინფორმაცია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

3.2. მთავრობის ვალდებულებები

მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია:

- 3.2.1. ნახშირის თბოსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 20 (ოცი) წლის განმავლობაში უზრუნველყოს ელექტროსადგურის მიერ შესასყიდი თვეების განმავლობაში გამოსამუშავებელი ელექტროენერჯის საპროგნოზო მოცულობის ასახვა შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად უზრუნველყოფილი იქნება ნახშირის თბოსადგურის ტექნიკური გამართულობა და იგი დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის მოთხოვნას.
- 3.2.2. „ესკო“-ს გაკოტრების ან ლიკვიდაციის და მისი ფუნქციების, კანონმდებლობის ან სხვა საფუძველით, სხვა პირისათვის გადაცემის შემთხვევაში, მთავრობა

ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს, არსებული უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის (პირებისათვის) გადაცემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სრულად ან ნაწილობრივ განახორციელებს „ესკო“-ს ფუნქციებს საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში.

3.2.3. ამ ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, მთავრობა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 8 აპრილის N39 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის შესაბამისად უზრუნველყოფს ნახშირის თბოსადგურის ელექტროსისტემასთან მიერთებისათვის აუცილებელი სათანადო სიმძლავრის ელექტრო გადამცემი ხაზ(ებ)ის მშენებლობას.

3.3. ესკოს ვალდებულებები:

„ესკო“ ვალდებულია ნახშირის თბოსადგურის ექსპლოატაციაში მიღების თარიღიდან 20 (ოცი) წლის განმავლობაში:

3.3.1. კომპანიასთან გააფორმოს ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება ნახშირის თბოსადგურის მიერ შესასყიდი თვეების განმავლობაში გამომუშავებული ელექტროენერჯის სრულად შესყიდვის მიზნით;

3.3.2. ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე „მიიღე ან გადაიხადე პრინციპი“-ს შესაბამისად, შესასყიდი თვეების განმავლობაში, სრულად შეისყიდოს სადგურის გამომუშავებული ელექტროენერჯია. იმ შემთხვევაში, თუ ესკოს მიერ სრულად ვერ იქნება უზრუნველყოფილი შეთანხმებული მოცულობის ელექტროენერჯის შესყიდვა კომპანიისაგან, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს კომპანიას ამის შედეგად მიუღებელი შემოსავალი სრულად.

3.3.3. ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიისაგან ელექტროენერჯის შესყიდვა განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N2-ის შესაბამისად განსაზღვრული ტარიფით ყოველ კვტ/სთ-ზე.

4. განსაკუთრებული დებულებანი

4.1. იმ შემთხვევაში თუკი კომპანიას პროექტის განხორციელების მიზნით დასჭირდება დამატებითი მიწის ნაკვეთები და აღნიშნულის შესახებ დასაბუთებულ მოთხოვნას შესაბამისი მტკიცებულებებითურთ წარუდგენს მთავრობას, მთავრობა ვალდებულია უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების კანონმდებლობით დადგენილი წესით (მიწის ნაკვეთების) კომპანიის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

4.2. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება მთავრობის მიერ მათი ოფიციალურად დადასტურების მომენტიდან. კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე წერილობითი ინფორმაციის და/ან აუდიტორული დასკვნის მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში მთავრობა წერილობით დაუდასტურებს კომპანიას ვალდებულების შესრულების ფაქტს.

4.3. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ქონების ნაწილობრივ და/ან სრულად გასხვისების ან ნებისმიერი სახით განკარგვის შემთხვევაში, კომპანია უზრუნველყოფს, გასხვისება და/ან განკარგვა მოხდეს ამ ხელშეკრულებისა და პრივატიზების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.4. ამ ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუკი მთავრობის მიერ არ მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2.3. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა და აღნიშნულის თაობაზე არაუგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრამდე წერილობით აცნობებს კომპანიას და თბოსადგურის ელექტროსისტემასთან მიერთებისათვის აუცილებელი სათანადო სიმძლავრის ელექტრო გამამცემი ხაზ(ებ)ის მშენებლობას განახორციელებს კომპანია, ხოლო ხაზების მშენებლობისათვის გაწეული მთლიანი საინვესტიციო მოცულობა სრულად აუნაზღაურდება კომპანიას საქართველოს მთავრობის მიერ, რაზეც დამატებით გაფორმდება შეთანხმება კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის.

4.5. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესაძლოა შესრულდეს ასევე მესამე პირის მეშვეობითაც, რაც არ გულისხმობს კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების სხვა პირზე გადაცემას.

4.6. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე კომპანიის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შედეგად კომპანიის მიერ ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობა არ იქნება განხილული, როგორც ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. კომპანიის მიერ ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევეს მის მიმართ (მის სასარგებლოდ) ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების ვადის შესაბამისად.

4.7. ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე ნახშირის თბოსადგურის ექსპლოატაციაში მიღების თარიღიდან 20 (ოცი) კალენდარული წლის განმავლობაში შესასყიდი თვეების განმავლობაში სადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული მოცულობის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ექსკლუზიურად „ესკო“-ზე.

4.8. მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ნახშირის თბოსადგურის მიერ ელექტროენერჯის გამომუშავებისთვის არ იქნება გამოყენებული საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ნახშირი, მთავრობა ან/და ესკო უფლებამოსილია

ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულების 3.2.1, 3.2.2., 3.3.2. და 3.3.3. პუნქტებით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე პირობის შესრულება.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომპანია იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების გონივრული ვადა.

5.2. ხელშეკრულების 3.1.1, 3.1.2 და 3.1.3 პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში კომპანიას გადაეცემა წერილობით გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების გონივრული ვადა და იმავდროულად კომპანიას დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლო 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

5.3. ხელშეკრულების 3.1.4, 3.1.5, 3.1.6, 3.1.7, 3.1.8 და 3.1.9 პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, კომპანიას გადაეცემა წერილობით გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების გონივრული ვადა და იმავდროულად კომპანიას დაეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

5.4. ამ ხელშეკრულების 5.2. და 5.3. პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს (გარდა ამ ხელშეკრულების 3.1.7. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლოსი, რომელიც კომპანიამ უნდა გადაიხადოს საბანკო გარანტიისაგან დამოუკიდებლად) გამოქვითვა განხორციელდება კომპანიის მიერ მთავრობისათვის წარდგენილი საბანკო გარანტიის თანხიდან და გამოყენებული სანქციების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს საბანკო გარანტიის ოდენობას. იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა მიაღწევს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ოდენობას, აღნიშნული განიხილება ხელშეკრულების მთავრობის მიერ ცალმხრივად მოშლის საფუძველად. ასეთ შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის კომპანიისათვის გადაცემული ქონება უბრუნდება სახელმწიფოს, ხოლო კომპანიას არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები.

5.5. პირგასამტეხლოს სახით დაკისრებული თანხის გადახდა არ ათავისუფლებს კომპანიას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.6. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით (მათ შორის დარღვევის გამოსწორების ვადაში) შეუსრულებლობის შემთხვევა ან/და დადგენილ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა განიხილება ხელშეკრულების მთავრობის მიერ ცალმხრივად მოშლის საფუძველად. ასეთ შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის კომპანიისათვის გადაცემული ქონება უბრუნდება სახელმწიფოს, ხოლო კომპანიას არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად ან/და ნაწილობრივ

შეუსრულებლობისათვის, თუკი ვალდებულებების შეუსრულებლობა პირდაპირ განპირობებულია ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედების გამო.

6.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნებისმიერ მხარესთან მიმართებაში ნიშნავს ისეთ ნებისმიერ შემთხვევას ან გარემოებას, რომელიც შესაბამისი მხარის კონტროლის ფარგლებს მიღმაა და რომელიც შეუძლებელს ხდის მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.3. ხელშეკრულების მიზნებისათვის დაუძლეველ ძალას ან დაუძლეველი ძალის გარემოებას მიეკუთვნება:

6.3.1. ომი, სამხედრო მოქმედება, რევოლუცია, ბლოკადა, მობილიზაცია, ემბარგო;

6.3.2. აჯანყება, საგანგებო მდგომარეობა, სამოქალაქო ომი, ამბოხი, სახალხო დაუმორჩილებლობა, საზოგადოებრივი მღელვარება, საბოტაჟი ან ტერორისტული აქტები;

6.3.3. ელვა, ხანძარი, აფეთქება, ქარიშხალი, ჰაერში მოძრავი ნამსხვრევები, წყალდიდობა, მოქცევითი ტალღა, მიწისძვრა, გრიგალი, შტორმი, ზვავი, მეწყერი ან სხვა ბუნების დაუძლეველი ძალები და სხვა სტიქიური მოვლენები;

6.4. ფორს-მაჟორული მოვლენების დადგომის შემთხვევაში, თითოეული მხარე ვალდებულია 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ამგვარი მოვლენების დაწყების, დასრულების პროგნოზისა და შეწყვეტის შესახებ. ამასთან მხარეები თანხმდებიან, რომ მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევეს ფორს-მაჟორული მოვლენების მოქმედების პერიოდის შესაბამისად;

6.5. მხარე, რომელიც იმყოფება ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედების ქვეშ, ვალდებულია მეორე მხარისათვის ამ ხელშეკრულების 6.4 მუხლის შესაბამისად წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორის დამადასტურებელი საბუთი, გაცემული საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

7. მხარეთა გარანტიები

7.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ისინი არიან სათანადოდ უფლებამოსილნი და სრული უფლებით აღჭურვილნი, რათა ხელი მოაწერონ ამ ხელშეკრულებას.

7.2. მხარეები ადასტურებენ, რომ ეს ხელშეკრულება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალეებელ სამართლებრივ დოკუმენტს.

8. დავების მოგვარება

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 მხარეები ამ ხელშეკრულებას აფორმებენ ორმხრივი ნდობის საფუძველზე და მიზნად ისახავენ, რომ მათ შორის ურთიერთობის პროცესში წარმოშობილი ნებისმიერი გაუთვალისწინებელი გარემოება განიხილება ურთიერთგაგების საფუძველზე.

8.3. თუ მხარეებს შორის წარმოიშობა უთანხმოება, იგი უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. დასკვნითი დებულებანი

9.1. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება, შესწორება ანდა დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი ფორმით შეთანხმებისა და ხელისმოწერის შემთხვევაში.

9.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი შეტყობინება უნდა იყოს წერილობითი ფორმით მიწოდებული პირადად ან ფოსტის მეშვეობით და ჩაითვლება მიწოდებულად ჩაბარების დადასტურების შემთხვევაში შემდეგ მისამართზე:

- საქართველოს მთავრობის შემთხვევაში - ქ. თბილისი, 0105, სანაპიროს ქუჩა N2 (საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო)
- ესკოს შემთხვევაში - ქ. თბილისი, ბარათაშვილის #2;
- კომპანიის შემთხვევაში - ქ. თბილისი, 0177, გაზაფხულის ქ. N14

9.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

9.4. ხელშეკრულება ძალაში შედის კომპანიის მიერ 3.1.7 პუნქტის შესაბამისად საბანკო გარანტიის წარმოდგენის მომენტიდან და მოქმედებს განსაზღვრული ვალდებულებების მხარეთა მიერ სრულად შესრულებამდე.

მხარეთა ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა


ესკო


კომპანია


საქართველოს
ენერჯეტიკის მინისტრი


გენერალური
დირექტორი

შპს „ტყიბული 150“-ის
დირექტორი


კანაკალაძე


ვახტანგ ამბოკაძე


გივი ჭაჭია



საქართველოს მთავრობის განკარგულება

N2210 2015 წლის 15 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „ტყიბული 150“-სა და
სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის
დასადები განხორციელების ხელშეკრულების თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „ტყიბული 150“-სა და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები განხორციელების ხელშეკრულების პროექტი.
2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელების ხელშეკრულებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ლარიბაშვილი



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/906
10/09/2015

906-01-2-201509101453



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის 10 სექტემბრის N04/3387 წერილით პასუხად გაცნობებთ, რომ მხარეებს შორის დასადები განხორციელების ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

ზაზა დვალისვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

OFFICE@ESCO.GE - WWW.ESCO.GE

სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010120995736915

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ: 2 40-51 48, 2 40-58-36, ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel: 2 40 51 48 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№6663

25 / აგვისტო / 2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმაღამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2015 წლის 17 აგვისტოს №04/3122 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „საქნახშირსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასაადები განხორციელების ხელშეკრულების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

მხარეთა თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხელშეკრულების პროექტის 3.2.4 მუხლით დადგენილი „შილე ან გადაიხადე“ პრინციპი თანაბრად გაგრძელდეს ხელშეკრულების მხარეებზე, კერძოდ, მუხლის ფარგლებში მიზანშეწონილია, განისაზღვროს, რომ, თუ კომპანია ვერ უზრუნველყოფს შეთანხმებულ პერიოდში ხადგურის დადგმული ზომილადგურის შესაბამისად ელექტროენერგიის სრული მოცულობის მიწოდებას ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისთვის, იგი ვალდებულია, აუნაზღაუროს ესკო-ს ამის შედეგად მიყენებული ზიანი.

პატივისცემით,

გ. ლორთქიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გოზა ლორთქიფანიძე